საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

ირაკლი ფაღავას N6
0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

22 აპრ 2025 წ.

KA000013638638825

№ **25/3176**

საქართველოს გენერალურ პროკურორს
ბატონ გიორგი გაბიტაშვილს

რეკომენდაცია

მსჯავრდებულ [redacted] სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების გადაცემის უზრუნველყოფის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო გიორგი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მსჯავრდებულ [redacted] განცხადებებისა და წარმოდგენილი მასალების შესწავლის მიხედვით დადგინდა, რომ შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს საქმის მასალების ხელმისაწვდომობის შეზღუდვას.

ფაქტობრივი გარემოებები

მსჯავრდებულ [redacted] განმარტებით, სისხლის სამართლის N[redacted] საქმეზე, 2007 წლის 16 ივლისს, [redacted] სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი. მსჯავრდებულის მტკიცებით, ეზღუდება ხსენებული საქმის მასალების ასლებზე წვდომა [redacted] თქმით, მისი მსჯავრდების სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების მიღება სურდა სამოქალაქო დავის ფარგლებში სასამართლოში წარსადგენად.

საერთო სასამართლოების არქივის მიერ მსჯავრდებულ [redacted] ეცნობა, რომ [redacted] რაიონული სასამართლოს 2007 წლის სისხლის სამართლის N[redacted] საქმე, 2014 წლის 17 თებერვალს, ამოღებული იქნა სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის გამომძიებლის მიერ და მოცემული დროსთვის საერთო სასამართლოების არქივში დაბრუნებული არ იყო, რის გამოც მოკლებულნი იყვნენ პატიმრის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.[1]

მსჯავრდებულმა [redacted] მიმართა[2] სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურას ხსენებული სისხლის სამართლის საქმის მასალების სრული ასლების გადაცემის/გაგზავნის მოთხოვნით.

პროკურატურის წერილით, მსჯავრდებულ [redacted] ეცნობა, რომ სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს წარმოებაშია სისხლის სამართლის N[redacted] საქმე, შინაგან

საქმეთა სამინისტროს [redacted] რაიონული სამმართველოს ცალკეული თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი გულგრილობის შესაძლო ჩადენის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე, ახალციხის რაიონული სასამართლოს მიერ გაცემული განჩინების საფუძველზე, 2014 წლის 17 თებერვალს, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საარქივო განყოფილებიდან ამოღებული იქნა [redacted] და სხვა პირის მსჯავრდების სისხლის სამართლის N[redacted] საქმე (5 ტომად), რომელიც დაერთო სისხლის სამართლის N[redacted] საქმეს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, საქმის მასალების გაცნობის და ასლის მიღების უფლება აქვთ დაზარალებულს, ბრალდებულს და მის ადვოკატს. ვინაიდან სისხლის სამართლის N[redacted] საქმეზე [redacted] სარგებლობს მოწმის სტატუსით და არა დაზარალებულის ან ბრალდებულის, ამასთან, ამოღებული ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმე წარმოადგენს სისხლის სამართლის N[redacted] საქმის მასალას, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, გადასცენ განცხადებით მოთხოვნილი მისი მსჯავრდების საქმის მასალები.[3]

[redacted] დამატებითი განცხადებით[4] მიმართა პროკურატურას და მოითხოვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის საფუძველზე მისი მსჯავრდების სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების გადაცემა. [redacted] მტკიცებით, მისი სამოქალაქო სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის მიზეზი გახდა მტკიცებულებების არქონა. ხოლო საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დამტკიცება სწორედ მისი მსჯავრდების სისხლის სამართლის N[redacted] საქმის მასალებიდან იყო/არის შესაძლებელი. მსჯავრდებულის თქმით, სამოქალაქო სარჩელი წარდგენილი ჰქონდა იმ პირის წინააღმდეგ, ვინც მისი მსჯავრდების ზემოხსენებულ სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობდა [redacted] სტატუსით.[5] [redacted] თქმით, საქმის მასალების მიწოდების გარეშე, ვერ შეძლებდა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების თაობაზე დავის წარმოებას და სასამართლოსთვის მიმართვის უფლება ეზღუდებოდა.

პროკურატურის წერილით,[6] [redacted] ეცნობა, რომ სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის N[redacted] საქმეზე გამოძიება დაიწყო 2007 წლის 29 ივნისს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე. გამოძიების ფარგლებში [redacted] დაკითხულია მოწმის სახით. რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების გადაცემას, კიდევ ერთხელ ეცნობა, რომ ის არ სარგებლობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სტატუსით (დაზარალებული, ბრალდებული ან მისი ადვოკატი), შესაბამისად, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, დააკმაყოფილონ აღნიშნული მოთხოვნა.

საგულისხმოა, რომ [redacted] მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით ირკვევა: ახალციხის რაიონული სასამართლოს განჩინებით,[7] მოსარჩელე [redacted] უარი ეთქვა სარჩელის განსახილველად მიღებაზე და დაუბრუნდა გადახდილი ბაჟი. სასამართლოს განჩინების თანახმად, სარჩელში მითითებული უნდა იყოს კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომელზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მის მიერ მითითებულ გარემოებებს. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე [redacted] ითხოვს ზიანის ანაზღაურებას, თუმცა არ უთითებს დავის საგანთან მიმართებით ფაქტობრივ გარემოებაზე. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მხარეთა შეჯიბრებითობიდან გამომდინარე ვალდებულებაზე, უზრუნველყოს, რომ წარმოებაში მიღებული სარჩელიდან მოპასუხისთვის ნათელი გახდეს, თუ რას ედავებიან, რა საფუძვლით ან რა მტკიცებულებებია მის წინააღმდეგ, რაც მას საშუალებას მისცემს, შეარჩიოს თავდაცვის პროცესუალური საშუალება. ამასთან, სასამართლოს იმავე განჩინებით მოსარჩელეს განემარტა, რომ სარჩელის მიღებაზე უარი ხელს არ უშლის განმეორებით მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით, თუ აცილებული იქნება დაშვებული დარღვევა.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუცია და საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებები

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად.[8]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური დებულებებისა და ტერმინების შინაარსის თვითმყოფადობასა და ავტონომიურ სამართლებრივ მნიშვნელობაზე (არ არის დამოკიდებული კანონმდებლობაში არსებულ დეფინიციებზე)[9] მითითებით, ხსენებული მუხლის მიზნებისათვის საგამოძიებო ორგანოები (დაზარალებულისთვის მასალების ასლების სახით გადაცემის დავის ფარგლებში)[10] და საერთო სასამართლოები (სასამართლოს გადაწყვეტილებების სრულად გაცემის დავის ფარგლებში)[11] მიიჩნია საჯარო/სახელმწიფო დაწესებულებებად, რომლებში დაცულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა დაცულია კონსტიტუციით.

სასამართლო მიუთითებს საჯარო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრეზუმფციაზე და სათანადო საფუძვლით მისი შეზღუდვის შესაძლებლობაზე.[12] ჩარევა შესაძლებელია

ამასთან, კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გარანტირებული უფლებებს შორის კონფლიქტისას, როცა საჯარო დაწესებულებებში არსებული ინფორმაციის მიღება უპირისპირდება მეორე პირის უფლებას, რომ არავისთვის არ გახდეს ხელმისაწვდომი მის შესახებ არსებული ინფორმაცია, საკითხი უნდა გადაწყდეს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, უფლებების დაბალანსების გზით, თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად.[14] ბალანსის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია სასამართლოს აქტებში ასახული ინფორმაციის ბუნება, მათი გავრცელებისგან დაცვის ინტერესის შეპირისპირება მართლმსაჯულების გამჭვირვალობის ინტერესთან.[15] შეპირისპირებულ ინტერესებს შორის ბალანსი თითოეულ შემთხვევაში ინფორმაციის შინაარსსა და ინდივიდუალურ გარემოებებზეა დამოკიდებული.[16]

რაც შეეხება საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციას, საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში მისაღებად მიიჩნევს **პრინციპს, რომ საჯარო დაწესებულებაში პიროვნების შესახებ არსებული ინფორმაციის იმავე პიროვნებისათვის გაცემის უფლება იყოს წესი, ხოლო მისი შეზღუდვა - გამონაკლისი და შესაბამისი აუცილებლობით განპირობებული.[17]** ეს უფლება გულისხმობს ინფორმაციის ეფექტიანი გაცნობის შესაძლებლობას, ხოლო საჭიროებისას, დოკუმენტის ასლის მიღებასაც.[18] მის მიზანს მხოლოდ ინფორმაციის წაკითხვა და დოკუმენტების ვიზუალური დათვალიერება არ წარმოადგენს, არამედ მექანიზმის შექმნა, რომელიც **დაინტერესებულ პირს ინფორმაციის სათანადოდ, გულდასმით შესწავლის, მისი სისწორის გამოკვლევის, გაანალიზების, დასკვნების გაკეთების, გავრცელების ან/და სხვადასხვა ლეგიტიმური მიზნით გამოყენების საშუალებას მისცემს.[19] ამასთან, ინფორმაციის გაცემის ინსტრუმენტის სახე დამოკიდებულია საკუთრივ ინფორმაციის ფორმასა და შინაარსზე და არა მომთხოვნი პირის საჭიროებებზე.[20]** ამასთან, გამოძიების ინტერესების დაცვის ლეგიტიმური მიზნით დასაშვებია საჯარო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა, მათ შორის, შესაბამისი ასლის გაუცემლობის გზით.[21] ამასთან, გარკვეული დროის გასვლის შემდგომ ყველა სახის დოკუმენტი თუ ინფორმაცია, მათი გამჟღავნების/გაცემის შემთხვევაში არ იქნება გამოძიებისათვის ერთნაირად საფრთხის შემცველი.[22]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

სახელმწიფო ორგანოებში არსებულ პირად ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობის საკითხს ევროპული სასამართლო კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში განიხილავს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ძირითადი ნეგატიური ვალდებულებების გარდა, პირადი ცხოვრების უფლების პატივისცემას თან ახლავს პოზიტიური ვალდებულებები. ამ თვალსაზრისით, გასათვალისწინებელი ფაქტორია სამართლიანი ბალანსი საზოგადოებისა და დაინტერესებული პირის ინტერესებს შორის.[23] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, ეფექტიანი და ხელმისაწვდომი პროცედურის უზრუნველყოფით საშუალება მისცეს პირს წვდომა ჰქონდეს ყველა შესაბამის ინფორმაციაზე, რომელიც ესაჭიროება კონკრეტული მიზნებისთვის.[24]

კონვენციის მე-8 მუხლით დაკისრებული სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება მოიცავს „ეფექტიანი და ხელმისაწვდომი პროცედურის“ უზრუნველყოფას, რომელიც განმცხადებელს „ყველა რელევანტურ და შესაბამის ინფორმაციაზე“ გონივრულად სწრაფი წვდომის საშუალებას მისცემს. აღნიშნული წესი ვრცელდება სახელმწიფო ორგანოების მიერ შეგროვილ, მათ შორის, საიდუმლო სამსახურების მიერ ყოფილი კომუნისტური და ტოტალიტარული რეჟიმის პერიოდში პირის შესახებ შექმნილ და შეგროვებულ ჩანაწერებში არსებულ ინფორმაციაზე.[25]

კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულების დარღვევად შეფასდა განმცხადებლისთვის საიდუმლოების მოტივით უარის თქმა ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, რომელიც მისთვის აუცილებელი იყო კონკრეტული სამსახურისთვის მისი ფსიქოლოგიური ვარგისიანობის შეფასების საკითხზე. სასამართლომ ხაზი გაუსვა ეროვნულ დონეზე რეგულაციას, რომლის მიხედვით, თუნდაც ერთი დოკუმენტის გასაიდუმლოების შემთხვევაში, დანარჩენი დოკუმენტებიც ითვლებოდა ავტომატურად საიდუმლოდ; ასევე, არ შეფასდა, რომელი დოკუმენტი იყო გასაიდუმლოებული კანონის შესაბამისად და შესაძლებელი იყო თუ არა მასზე ნაწილობრივ წვდომა.[26]

განსხვავებული ვითარებაა ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში ინფორმაციის თვალსაზრისით. სასამართლოს პოზიციით, ისეთ შემთხვევაში, როცა თავდაცვის ორგანოებისთვის გაცემული ინფორმაცია არ იყო განმცხადებლისთვის მიწოდებული, ეს თავისთავად არ განაპირობებს დასკვნას, რომ ჩარევა არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე,“ რადგან სწორედ ასეთი კომუნიკაციის არარსებობა უზრუნველყოფს პერსონალის კონტროლის პროცედურის ეფექტიანობას.[27] თუმცა, სხვა საქმეში ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა აღემატებოდა პოლიციის უსაფრთხოების ფაილებში პირების შესახებ ინფორმაციასთან წვდომის ინტერესს.[28]

სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, პოლიციის საიდუმლო რეესტრში შენახულ ინფორმაციასთან სრულ წვდომაზე უარის თქმა აუცილებელია, როდესაც სახელმწიფო შეიძლება ლეგიტიმურად შიშობდეს, რომ ასეთი ინფორმაციის მიწოდებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად და ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნილი საიდუმლო სათვალთვალო სისტემის ეფექტიანობას. ამასთან, სასამართლო მიუთითებს ეროვნულ კანონმდებლობაში გარანტიების არსებობის საჭიროების თაობაზე. დარღვევა არ დადგინდა, როცა სახელმწიფოს, მის ხელთ არსებული შეფასების ფართო ზღვრის გათვალისწინებით, უფლება ჰქონდა ჩაეთვალა, რომ ეროვნული

უსაფრთხოებისა და ტერორიზმთან ბრძოლის ინტერესები აღემატებოდა მომჩივანთა ინტერესებს - სრულყოფილად მიეღოთ უსაფრთხოების პოლიციის რეესტრში მათ შესახებ არსებული ინფორმაცია.[29]

საგულისხმოა, რომ განსაკუთრებით სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოების საქმიანობასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისას, შეიძლება არსებობდეს გარკვეული დოკუმენტებისა და სხვა მასალების ხელმისაწვდომობის შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძველი, თუმცა ეს მოსაზრება მეტწილად აღარ მოქმედებს ლუსტრაციის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით.[30]

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა

კანონი ითვალისწინებს დაცვისა (ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული და მისი ადვოკატი)[31] და ბრალდების (გამომძიებელი, პროკურორი)[32] მხარეს შორის შესაძლო მტკიცებულებათა შესახებ ინფორმაციის გაცვლის ვალდებულებას.[33]

ბრალდებულის სასამართლოში პირველ წარდგენამდე მხარეები ვალდებული არიან მისცენ ერთმანეთს ინფორმაციისა და მტკიცებულების გაცნობის შესაძლებლობა და გადასცენ წერილობითი მტკიცებულებების ასლები. პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მოთხოვნა იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. ეს უფლება შეიძლება ბრალდების მხარის შუამდგომლობით შეზღუდოს სასამართლომ მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ნაწილში და მხოლოდ წინასასამართლო სხდომამდე. წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ. მხარეებმა ერთმანეთს უნდა გადასცენ ინფორმაცია დოკუმენტის ასლის სახით, სხვა მასალის შემთხვევაში კი – ცნობის სახით.[34]

საგულისხმოა, რომ სასამართლოს სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს ოქმის მხარეებისათვის გაცნობის შესაძლებლობა.[35] განაჩენისა და განსხვავებული აზრის ასლები მსჯავრდებულს ან გამართლებულს და ბრალმდებელს უნდა გადაეცეს განაჩენის გამოცხადებიდან არაუგვიანეს 5 დღისა, ხოლო რთულ, მრავალტომიან ან მრავალი პირის ბრალდების საქმეზე – არაუგვიანეს 14 დღისა.[36]

გარდა ამისა, დაზარალებულს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს.[37] საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ხსენებული ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ბლანკეტურად გამორიცხავდა დაზარალებულის შესაძლებლობას, მიეღო ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაცნობოდა სისხლის სამართლის საქმის მასალებს ასლის სახით.[38]

ამასთან, თუ ამოღებული და სისხლის სამართლის საქმეზე დართული დოკუმენტი საჭიროა მიმდინარე აღრიცხვისათვის, ანგარიშგებისათვის და სხვა მართლზომიერი მიზნებისათვის, ის ან მისი ასლი შეიძლება კანონიერ მფლობელს დაუბრუნდეს ან გადაეცეს დროებით გამოსაყენებლად.[39] დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-, კინო-, ვიდეო-, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.[40] დოკუმენტი იმავდროულად შეიძლება იყოს ნივთიერი მტკიცებულება, თუ მას შეუნაცვლებლობის თვისება აქვს.[41]

საგულისხმოა, რომ [redacted] განაჩენის გამოტანის დროს, 2007 წელს მოქმედი, კანონით, ბრალდებულს უფლება ჰქონდა პროცესის ნებისმიერ სტადიაზე გაცნობოდა საქმეში არსებულ ყველა მტკიცებულებას და საკუთარი ხარჯით გადაეღო საქმის მასალის ასლები (გარდა პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებული მასალისა).[42] ასევე, საბრალდებო დასკვნის შედგენის შემდეგ პროკურორი საბრალდებო დასკვნის ასლს აბარებდა ბრალდებულს.[43] საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოსათვის გაგზავნის შესახებ ატყობინებდნენ ბრალდებულს, დამცველს და შეტყობინებასთან ერთად მათ ეძლეოდათ შესაძლებლობა, საკუთარი ხარჯით გადაეღოთ სისხლის სამართლის საქმის მთელი მასალის ასლი (პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებული მასალის გარდა), ხოლო თუ ბრალდებული არასმქონე იყო, ასლები გადაეცემოდა სახელმწიფოს ხარჯზე.[44] სასამართლო ვალდებული იყო უზრუნველეყო მხარეებისათვის სასამართლო სხდომის ოქმის გაცნობის შესაძლებლობა.[45] ამასთან, განაჩენის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 5 დღე-ღამისა, ხოლო რთულ, მრავალტომიან ან მრავალი პირის საქმეზე – არა უგვიანეს 14 დღე-ღამისა განაჩენის ასლი უნდა გადასცემოდა მსჯავრდებულს ან გამართლებულს.[46]

გამოძიების ხანდაზმულობის ვადა

კანონი ადგენს გამოძიების ვადებს: გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა.[47] გამოძიება უნდა შეწყდეს, თუ გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის

რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადას, ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება დანაშაულის ჩადენის დღიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე.[49] პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა 15 წელი სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე–342[1] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის, თუ ისინი არ მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს.[50]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის (სამსახურებრივი გულგრილობა) სასჯელის სახით გათვალისწინებულია ჯარიმა ან შინაპატიმრობა 6 თვიდან 2 წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთა 3 წლამდე ვადით; ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის (იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი) - თავისუფლების აღკვეთა 2-5 წლამდე ვადით. ხსენებული დანაშაულები, კანონის[51] თანახმად, მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას.

ამდენად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის და შესაბამისად, გამოძიების ვადას შეადგენს 15 წელს.

გამოძიება სისხლის სამართლის N[redacted] საქმეზე (ამ საქმის გამოძიების ფარგლებში სასამართლოების არქივიდან ამოღებულია [redacted] მსჯავრდების სისხლის სამართლის N[redacted] საქმე, რომლის მასალების ასლების გადაცემასაც ითხოვს [redacted]) დაიწყო 2007 წლის 29 ივნისს და გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლისთვისაც სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა 15 წელს შეადგენს. ამდენად, სავარაუდო დანაშაულის ჩადენიდან, რომელზეც გამოძიება 2007 წლის 29 ივნისს დაიწყო, გასულია 17 წელსა და 9 თვეზე მეტი დრო (ქმედების ჩადენა წინ უსწრებს გამოძიების დაწყებას). ამდენად, გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობისა და შესაბამისად, გამოძიების ვადა. ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად, გამოძიება გრძელდება; ხოლო მოცემულ საქმეში ხანდაზმულობის ვადების გამოუყენებლობის[52] შემთხვევისა და ხანდაზმულობის ვადის შეჩერების[53] საფუძვლების არსებობის თაობაზე ინფორმაცია არ ფიქსირდება.

კანონი სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობის პრინციპს[54] ადგენს, ხოლო გამოძიების შეწყვეტის საფუძვლები,[55] მათ შორის, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, იმპერატიულად არის დადგენილი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, „ხანდაზმულობა, რომ აქარწყლებს ქმედების დასჯადობას, ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ვადის გასვლის შემდეგ როგორი უტყუარი მტკიცებულებანიც არ უნდა გამოვლინდეს, ეს ვეღარ გახდება სისხლის სამართლებრივი დევნის განახლების საფუძველი.“[56]

მოცემული საქმის ანალიზი

მსჯავრდებული [redacted] ითხოვს მისი მსჯავრდების სისხლის სამართლის N[redacted] საქმის მასალების ასლების გადაცემას, რომელზეც მის მიმართ განაჩენი 2007 წელს იქნა გამოტანილი. ხსენებული მასალების ასლების მიღების მიზანი იყო მოცემულ საქმეზე [redacted] წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელის სამართალწარმოების ფარგლებში სასამართლოში წარდგენა.

საგულისხმოა, რომ საერთო სასამართლოების არქივში ხსენებული სისხლის სამართლის საქმე არ ინახებოდა, რადგან პროკურატურის მიერ იქნა ამოღებული 2014 წელს. სწორედ ამ მიზეზით, მსჯავრდებულმა ვერ მიიღო საქმის მასალების ასლები.

რაც შეეხება პროკურატურის პოზიციას - 2007 წელს გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის N[redacted] საქმეზე, პოლიციელების მიერ სამსახურებრივი გულგრილობის სავარაუდო ჩადენის ფაქტზე და სწორედ ამ საქმის გამოძიების ფარგლებში, 2014 წელს, საერთო სასამართლოების არქივიდან ამოღებული იქნა [redacted] მსჯავრდების სისხლის სამართლის N[redacted] საქმე და დაერთო სისხლის სამართლის N[redacted] საქმეს. ხსენებულ საქმეზე [redacted] აქვს მხოლოდ მოწმის სტატუსი, არ წარმოადგენს მხარეს (ბრალდებულს) და დაზარალებულს, რის გამო უარი ეთქვა საქმის მასალების ასლების გადაცემაზე.

მართალია, სისხლის სამართლის N[redacted] საქმეზე [redacted] მხოლოდ მოწმის სტატუსი აქვს და კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მოწმისთვის სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების გადაცემის შესაძლებლობას, თუმცა აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას მსჯავრდებულ [redacted] მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის/მასალის (ასლის სახით) შინაარსს.

სისხლის სამართლის N[redacted] საქმეს ერთვის და შესაბამისად, ამ საქმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მსჯავრდებულ[redacted] მსჯავრდების სისხლის სამართლის N[redacted] საქმე. სწორედ ამ უკანასკნელი საქმის მასალის ასლების სახით გადაცემას ითხოვს მსჯავრდებული.

საგულისხმოა, რომ სისხლის სამართლის N[redacted] საქმეზე 2007 წელს [redacted] მიმართ გამოტანილი იქნა განაჩენი. შესაბამისად, ხსენებული საქმის განხილვის დროს მოქმედი კანონმდებლობით,[57] ბრალდებულს/მსჯავრდებულს - [redacted] უფლება ჰქონდა გაცნობოდა ხსენებული სისხლის სამართლის საქმის მასალებს და მიეღო მათი ასლები. ანალოგიურ დებულებებს ითვალისწინებს დღეს მოქმედი კანონიც.[58] ამასთან, სისხლის სამართლის საქმის წარმოების

დასრულების შემდეგ, პირს უფლება აქვს საკუთარი ბრალდების/მსჯავრდების სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები მიიღოს საერთო სასამართლოების არქივიდან.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია დროის ფაქტორიც. სისხლის სამართლის N[redacted] საქმეზე, რომლის ფარგლებშიც 2014 წელს [redacted] მსჯავრდების სისხლის სამართლის N[redacted] საქმე ამოიღეს, გამოძიება 2007 წელს დაიწყო სამსახურებრივი გულგრილობის სავარაუდო დანაშაულის ფაქტზე. ხსენებული დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის და შესაბამისად, გამოძიების ვადა 15 წელს შეადგენს, ხოლო ვინაიდან გამოძიების დაწყებიდან 17 წელზე მეტი დრო გასული, ამოწურულია გამოძიების ვადაც. ამ პირობებში, აუცილებელია შეფასდეს და დადგინდეს, [redacted] მისი მსჯავრდების სისხლის სამართლის N[redacted] საქმის მასალების ასლების გადაცემა გამოიწვევს თუ არა გამოძიებისთვის რეალურ ზიანს.

საგულისხმოა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონით,[59] თუ ამოღებული და სისხლის სამართლის საქმეზე დართული დოკუმენტი საჭიროა მიმდინარე აღრიცხვისათვის, ანგარიშგებისათვის და სხვა მართლზომიერი მიზნებისათვის, ის ან მისი ასლი შეიძლება კანონიერ მფლობელს დაუბრუნდეს ან გადაეცეს დროებით გამოსაყენებლად.

გასათვალისწინებელია მსჯავრდებულის კანონიერი ინტერესი. [redacted] მტკიცებით, მისი მსჯავრდების სისხლის სამართლის N[redacted] საქმის მასალების ასლები სასამართლოში სამოქალაქო დავის წარმოებისთვის ესაჭიროება.

მართალია, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით[60], თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და სასამართლოში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, ვისთანაც უნდა იყოს ისინი. ამდენად, მხარეს შეუძლია მიუთითოს სასამართლოს, რა კონკრეტული მტკიცებულების წარმოდგენა არ შეუძლია და თხოვს სასამართლოს მის გამოთხოვას, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, [redacted] საქმის მასალები ესაჭიროება სარჩელის ფაქტობრივი გარემოებების, სასარჩელო მოთხოვნის ჩამოყალიბებისთვის და არა მხოლოდ მტკიცებულების სახით წარსადგენად. აღსანიშნავია, რომ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის განჩინებაშიც დაფიქსირდა სრულყოფილი სარჩელის წარდგენის აუცილებლობის თაობაზე.

დასკვნა

მიზანშეწონილია, [redacted] მისი მსჯავრდების სისხლის სამართლის N[redacted] საქმის მასალების ასლების სახით ხელმისაწვდომობა არ შეეზღუდოს გამოძიების ინტერესების დაცვის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აუცილებელზე მეტი ინტენსივობითა და მოცულობით. ამასთან, შეზღუდვის პროპორციულობის საკითხზე მსჯელობისას მხედველობაშია მისაღები, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია მსჯავრდებულისთვის ისედაც ცნობილია და კანონმდებლობითაც ჰქონდა მასზე წვდომა; ხოლო ამჟამად, ის სამოქალაქო საქმისწარმოების მიზნებისთვის ესაჭიროება. გარდა ამისა, სისხლის სამართლის N[redacted] საქმეზე, რომელსაც ერთვის [redacted] მსჯავრდების საქმე, ხანდაზმულობის ვადა გასულია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ რეკომენდაციით, უზრუნველყოთ [redacted] სისხლის სამართლის N[redacted] საქმის მასალების ასლების სახით გადაცემის მიზანშეწონილობის შეფასება გამოძიების რეალური ინტერესების გათვალისწინებით.

პატივისცემით,

---

[1] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საერთო სასამართლოების არქივის 2024 წლის 26 თებერვლის N07-1714 და 2024 წლის 19 ივლისის N07-6277 წერილები.

[2] მსჯავრდებულ [redacted] 2024 წლის 1 მარტის N01/76371 და 26 მარტის N01/108843 განცხადებები.

[3] სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის 2024 წლის 16 აპრილის N13/34-25496 წერილი.

[4] [redacted] 2024 წლის 12 აგვისტოს განცხადება.

[5] [redacted] მიერ წარმოდგენილია ახალციხის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 11 მარტის განჩინებისა (საქმე N2/178-24 წ.) და ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 16 ივლისის განაჩენის პირველი ფურცლის ასლები.

[6] სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის 2024 წლის 4 სექტემბრის N13/34-56637 წერილი.

[7] 2024 წლის 11 მარტის განჩინება, საქმე N2/178-24 წ.

[8] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 18, პუნქტი 2

[9] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის N1/3/1312 გადაწყვეტილებით საქმეზე: „კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7

[10] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის N1/3/1312 გადაწყვეტილებით საქმეზე: „კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-19.

[11] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის N1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე: „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.” II-20.

[12] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის N1/3/1312 გადაწყვეტილებით საქმეზე: „კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-27.

[13] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის N1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე: „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.” II-22.

[14] იქვე, II-40

[15] იქვე, II-56.

[16] იქვე, II-58.

[17] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის N1/3/1312 გადაწყვეტილებით საქმეზე: „კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-49.

[18] იქვე, II-13.

[19] იქვე, II-10.

[20] იქვე, II-12.

[21] იქვე, II-29-31.

[22] იქვე, II-47.

[23] Roche v. the UK [GC], განაცხადი N32555/96, 19.10.2005 წ. პარ. 157.

[24] Roche v. the UK [GC], განაცხადი N32555/96 19.10.2005 წ. პარ. 162; Joanna Szulc v. Poland, განაცხადი N43932/08 13.11.2012 წ. პარ. 86, 94.

[25] Joanna Szulc v. Poland, განაცხადი N43932/08 13.11.2012 წ. პარ. 87.

[26] Yonchev v. Bulgaria, განაცხადი N12504/09 07.12.2017 წ. პარ. 51, 55, 60, 62-63.

[27] Leander v. Sweden, განაცხადი N9248/81 26.03.1987 წ. პარ. 66.

[28] Joanna Szulc v. Poland, განაცხადი N43932/08 13.11.2012 წ. პარ. 88.

[29] Segerstedt-Wiberg and others v. Sweden, განაცხადი N62332/00 06.06.2006 წ. პარ.102-104.

[30] Turek v. Slovakia, განაცხადი N57986/00 14.02.2006 წ. პარ. 115.

[31] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 3, ნაწ. 7.

[32] იქვე, მუხლ. 3, ნაწ. 6.

[33] იქვე, მუხლ. 83.

[34] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 83, ნაწ. 1, 5-8.

[35] იქვე, მუხლ. 195, ნაწ. 3.

[36] იქვე, მუხლ. 278, ნაწ. 1.

[37] იქვე, მუხლ. 57, ნაწ. 1, ქ/პ. „თ“.

[38] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის N1/3/1312 გადაწყვეტილება საქმეზე: „კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

[39] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 78, ნაწ. 3.

[40] იქვე, მუხლ. 3, ნაწ. 23.

[41] იქვე, მუხლ. 78, ნაწ. 2.

[42] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (1998 წლის 20 თებერვლის კანონი, 2007 წელს მოქმედი რედაქცია), მუხლ. 76, ნაწ. 3.

[43] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (1998 წლის 20 თებერვლის კანონი, 2007 წელს მოქმედი რედაქცია) მუხლ. 416, ნაწ. 2.

[44] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (1998 წლის 20 თებერვლის კანონი, 2007 წელს მოქმედი რედაქცია) მუხლ. 416^1, ნაწ. 1.

[45] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (1998 წლის 20 თებერვლის კანონი, 2007 წელს მოქმედი რედაქცია) მუხლ. 454, ნაწ. 3.

[46] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (1998 წლის 20 თებერვლის კანონი, 2007 წელს მოქმედი რედაქცია) მუხლ. 514.

[47] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 103.

[48] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 105, ნაწ. 1, ქ/პ. „ე".

[49] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლ. 71, ნაწ. 2.

[50] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლ. 71, ნაწ. 1, ქ/პ. „$გ^1$".

[51] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლ. 12, ნაწ. 2. ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას.

[52] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის მე-5 და 5^1 ნაწილები: ხანდაზმულობა არ გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში; ხანდაზმულობა არ გამოიყენება ამ კოდექსის 144^1-144^3 მუხლებით (წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, აგრეთვე არასრულწლოვანის მიმართ ამავე კოდექსის 137-ე–141-ე და 253-ე–255^2 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. ხანდაზმულობა არ გამოიყენება ასევე ამავე კოდექსით გათვალისწინებული ისეთი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, რომლისთვისაც სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული და რომლის ჩადენას შედეგად მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

[53] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის მე-3, მე-6, მე-7 ნაწილები: ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ დამნაშავე დაემალა გამოძიებას ან სასამართლოს; ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება იმ ვადით, რა დროშიც პირს იცავს იმუნიტეტი; ხანდაზმულობის ვადის დინება ჩერდება იმ დროის განმავლობაში, როდესაც შეუძლებელია საქართველოში ექსტრადირებული პირის მიმართ შესაბამისი საპროცესო მოქმედებების განხორციელება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად.

[54] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 16. „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით"; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 105, ნაწ. 3. „სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა აგრეთვე არ დაიწყოს ან შეწყდეს, თუ ის ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს."

[55] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 105, ნაწ. 1.

[56] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის N1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ." II-27.

[57] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (1998 წლის 20 თებერვლის კანონი).

[58] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2009 წლის 9 ოქტომბრის კანონი).

[59] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 78, ნაწ. 3.

[60] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლ. 103, ნაწ. 2.